# ჩვენი მუშაობის ძირითადი მიმართულებები

## სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი მმართველობა

PIN-ის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები კონსტრუქციულად იქნებიან ჩართულნი ადგილობრივ თემში არსებული მწვავე საკითხების მოგვარების პროცესში. ამ მიზნით, PIN-ი იყენებს თანამონაწილეობრივი გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს. კერძოდ, ორგანიზაცია ხელს უწყობს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების შესაძლებლობების ამაღლებას. PIN-ი გასცემს გრანტებს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, მუნიციპალიტეტებსა და აქტიურ მოქალაქეებზე, კერძოდ კი, ახალგაზრდებზე და ამგვარად, ხელს უწყობს მათ მიერ საზოგადოებრივი საკითხების ერთობლივი გადაჭრის მცდელობებს; ამავდროულად, PIN-ის მიზანია წაახალისოს ადგილობრივი პროცესების დაფინანსება თავად ამ ერთეულების მიერ.

## სოციალური დაცვა და ინკლუზია

ჩეხეთის რესპუბლიკაში მიღებული მდიდარი გამოცდილების საფუძველზე, PIN-ი ახდენს ეფექტური მექანიზმების დანერგვას ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობის , სოციალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესების და სასოფლო რეგიონებში სერვისების მაქსიმალური მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით; PIN-ის მიზანს ასევე წარმოადგენს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა. გრანტების, ტრენინგების და სემინარების საშუალებით, PIN ახდენს სოციალურად დაუცვ ელი ადამიანების დამწყები ბიზნესების ხელშეწყობას და სოციალური საწარმოების დაფუძნებას. ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა დოკუმენტური ფილმების მეშვეობით ცნობიერების ამაღლება და მოსახლეობაში დებატების პროვოცირება, PIN-ი ცდილობს დაარღვიოს სოციალურად დაუცველი ჯგუფების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმა.

## სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება

PIN-ის მიზანია სოფლად სიღარიბის შემცირება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჩვენ ვეხმარებით შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს, საბაზრო და სამეწარმეო სუბიექტებს  განვითარონ ეფექტური მდგრადი  სერვისები  და  პროცედურები რომელიც საშუალებას მისცემს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას:

→ იმ ხარისხიანი სერვისებისა და პროდუქტების ხელმისაწვდომობას, რომლებიც მათ ესაჭიროებათ საარსებო წყაროს გასავითარებლად

→ სარფიანად მოახდინონ საკუთარი პროდუქციის გაყიდვა (ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების გზით)

PIN უზრუნველყოფს ფერმერული კოოპერატივების შექმნას, მათ წვდომას ინფორმაციის, ბაზრებისა და სერვისებისადმი, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია მათი საარსებო წყაროს გასავითარებლად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, PIN-ი ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა სექტორის წარმო-მადგენლებს, ფერმერებიდან დაწყებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული ასოციაციების ჩათვლით და ხელს უწყობს მათი შესა- ძლებლობების გაძლიერებას. PIN-მა დანერგა LEADER მიდგომა საქართველოში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) და შექმნა ადგილობრივი მოქმედების ჯგუფები, რომლებიც თავად განსაზღვრავენ თუ რა ტიპის ინვესტიციებია საჭირო სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის და ახალგაზრდების სოფლად დარჩენის შესაძლებლობებით უზრუნველყოფის მიზნით.


**თბილისის ოფისი**

გ. ქიქოძის #16

ტელ: (+995 32 ) 2 92 00 15

ქუთაისის ოფისი

სოლომონ I-ის #27

ტელ: (+995 43 1) 25-25-65

ყაზბეგის ოფისი

ვაჟა ფშაველას #1

ტელ: (+995) 5 91 80 09 22

**ელ-ფოსტა:**

ონდრეი ნადვორნიკი,  საქართველოს
წარმომადგენლობის დირექტორი
ondrej.nadvornik@peopleinneed.cz

ნანა ყურაშვილი პროგრამების ხელმძღვანელი
Nana.kurashvili@peopleinneed.cz

რამაზ ჭიჭინაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ramaz.chichinadze@peopleinneed.cz

**ვებ-გვერდი:**

**georgia.peopleinneed.eu**


**PEOPLE IN NEED**
**peopleinneed.cz**

„ფიფლ ინ ნიდ“ (peopleinneed.cz) არის ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1992 წლიდან ეწევა ჰუმანიტარულ საქმიანობას კრიზისულ რეგიონებში და ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვას. დღესდღეობით, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს არასამთავრობო ორგანიზაციას ცენტრალურ ევროპაში.  ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია ჰუმანიტარულ და განვითარების დახმარებაზე, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლების დაცვაზე, საველე სოციალურ საქმიანობაზე, განათლებისა და ცნობიერების ამაღლებაზე.

**ALLIANCE 2015**
**alliance2015.org**

არის სტრატეგიული პარტნიორობა შვიდ ევროპულ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის, რომლებიც ჩათულნი არიან ჰუმანიტარულ და განვითარების საქმიანობაში. გარდა ორგანიზაცისა „ფიფლ ინ ნიდ“,  ალიანს 2015 მოიცავს შემდეგ წევრებს: ACTED (საფრანგეთი), Cesvi (იტალია), Concern Worldwide (ირლანდია), HELVETAS შვეიცარიის ინტერკოოპერაცია (შვეიცარია), Hivos (ნიდერლანდები) და Welthungerhilfe (გერმანია).


დონორები:

The European Union for Georgia

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

TRANSITION Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic

CZECH REPUBLIC DEVELOPMENT COOPERATION



People in Need, 2018

ფოტო: თორნიკე ტურაზელიძე

# PEOPLE IN NEED
# საქართველო

## ჩვენი საქმიანობა საქართველოში

გლობალურად, PIN ისწრაფვის სამყაროსკენ, რომელშიც არ არსებობს, სიღარიბე, შესაძლებლობების სიმცირე ან დისკრიმინაცია. ორგანიზაციამ „ფიფლ ინ ნიდ" საქართველოში ფუნქციონირება 2006 წელს, საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნებული მოსახლეობის რეინტეგრაციის ხელშეწყობით დაიწყო. დღესდღეობით, საქმიანობის დაწყებიდან 12 წლის თავზე, PIN-ის მისია საქართველოში საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა ამოსავალ პრინციპს კვლავ წარმოადგენს გაჭირვებაში მყოფი ადამიანების უზრუნველყოფა უფლებით თავისუფლად განკარგონ საკუთარი სიცოცხლე.

საქართველოში PIN-ის საქმიანობის მთავარი მიზანია სიღარიბისა და უთანასწორობის დაძლევა, განსაკუთრებით სოფლად, შემდეგი მიდგომების გამოყენებით:

1. ღარიბი მოსახლეობის მიერ ეკონომიკური ზრდიდან სარგებლის მაქსიმალურად მიღება (სოფლის მეურნეობის განვითარება)
2. მოსახლეობის, ორგანიზაციებისა და ქსელების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ მიერ ცვლილებების ადვოკატირებისა და შემდგომი დანერგვის მიზნით (სამოქალაქო საზოგადოების განვითარება) და
3. საზოგადოების უკიდურესად ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფების დაცვა, რომლებიც დარჩენილნი არიან პროცესებს მიღმა (სოციალური დაცვა და ინტეგრაცია). ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევაში, PIN ასევე უზრუნველყოფს დაზარალებული მოსახლეობის სიცოცხლისა და ღირსების დაცვას.

### ბიუჯეტი




## მიღწევები

მხარდაჭერილი **300** ახალგაზრდული ინიციატივა
**2000**-ზე მეტი მხარდაჭერილი ბიზნესი გრანტებისა და ტრენინგების გზით
**100** არასამთავრობო ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარება
ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირ ჩართული **3000** ადამიანი
**600** სკოლასა და ასოციაციაში ადამიანის უფლებების სწავლება დოკუმენტური ფილმებით.

ფოტო: პეტრ შტეფანი

## PIN-ის მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება

- → ვრცელი ექსპერტული გამოცდილება დასავლეთ საქართველოში, სტაბილური და მოტივირებული ადგილობრივი გუნდი
- → პრიორიტეტული მიმართულებებით მყარი და დადასტურებული ესქპერტიზა
- → ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილება ცენტრალიზებული მოწყობიდან დემოკრატიისა და თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკისკენ სვლის პროცესში.
- → ხარჯთეფექტური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობს სექტორში მტკიცე ორიენტაციითა და მყარი რეპუტაციით.

"ფილმების ჩვენების გზით, ჩვენ ვეხმარებით ახალგაზრდებს მიიღონ ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ, რათა ისინი შემდეგ თავიანთ თემებში გახდნენ ერთგვარი ელჩები რომლებიც ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას შეუწყობენ ხელს." ანა ქოჩუა, პროექტის „ადამიანის უფლებები დოკუმენტური ფილმებით" მენეჯერი.

"ჩემთვის, რეგიონული განვითარება ასოცირდება მიგრაციის შემცირებასა და სოფლის განვითარებასთან." ლუდმილა პაპიაშვილი, ყაზბეგის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრი აღწერს, თუ რას ნიშნავს მისთვის რეგიონული განვითარება.

## ჩვენი ძლიერი მხარეები

PIN აყალიბებს გრძელვადიან სტრატეგიულ პარტნიორობას საქართველოს სსო-ებთან, უნივერსიტეტებთან, კერძო კომპანიებთან და საჯარო დაწესებულებებთან, რომლებიც იზიარებენ ორგანიზაციის ღირებულებებსა და ხედვას საქართველოში სიღარიბისა და უთანასწორობის დაძლევის შესახებ.

ადგილობრივი სამოქალაქო ჩართულობა PIN-ის პროგრამების ქვაკუთხედია. PIN მიიჩნევს, რომ სწორედ სამოქალაქო მონაწილეობაა ადგილობრივ დონეზე თვითმყოფადი და მდგრადი განვითარების წინაპირობა.

ფოტო: რამაზი ჭიჭინაძე

ფოტო: თინიკო ტურაბელიძე

ფოტო: ბუბა ჯაფარი

ფოტო: რამაზი ჭიჭინაძე

PIN მტკიცედ უჭერს მხარს გენდერულ თანასწორობას.
ჩვენ სიღრმისეულად ვაანალიზებთ გენდერულ ასპექტებს, ვიმუშავებთ და ვატარებთ ზომებს, რომლებიც ემსახურება იმ საზიანო გენდერული ნორმებისა და როლების გარდაქმნას, რომლებიც მიზეზია უთანასწორობისა და დისკრიმინაციისა.

ჩვენ გვჯერა, რომ სწორედ ახალგაზრდები არიან ცვლილების შემოქმედნი საკუთარ თემებში. სწორედ ამიტომ, ჩვენ ხელს ვუწყობთ პრიორიტეტული მიმართულებებით ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებას.